

2014 წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამა ისტორიაში

გამოცდაზე აპლიკანტს მოეთხოვება:

- ფაქტობრივი მასალის, ისტორიული ცნებების, ტერმინების ცოდნა და გამოყენება;
- ისტორიული მოვლენების და პროცესების დამახასიათებელი არსებითი ნიშნების გამოვლენა;
- ისტორიული მოვლენების და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა;
- ისტორიულ მოვლენათა შორის მსგავსებისა და განსხვავებების მიგნება და შედარება;
- ისტორიულ მოვლენათა/ისტორიულ წყაროთა კრიტიკული ანალიზი.

საკითხთა ჩამონათვალი:

1. პირველყოფილი საზოგადოება (ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, სოციალური სტრუქტურა, რწმენა-წარმოდგენები, ხელოვნება);
2. თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. რა არის ცივილიზაცია.
3. ძველი ეგვიპტე (სახელმწიფოს წარმოქმნა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია, ხელოვნება);
4. ძველი შუამდინარეთი: შუმერი, ბაბილონი (სახელმწიფოების წარმოქმნა, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია, ხელოვნება);
5. ასურეთი, ხეთების სამეფო, ურარტუ (სახელმწიფოების წარმოქმნა, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია, ხელოვნება);
6. დიაოხი და კოლხა;
7. აქემენიანთა ირანი (სახელმწიფოს წარმოქმნა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია, ხელოვნება);
8. ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები და ფინიკიური კოლონიზაცია;
9. ძველი საბერძნეთი (პოლისები, ათენი, სპარტა, ბერძნული კოლონიზაცია, ბერძენ-სპარსელთა ომები, პელოპონესის ომი, კულტურა);

10. ალექსანდრე მაკედონელი (ფილიპე II, ალექსანდრეს მოღვაწეობა, ელინიზმი და ელინისტური სახელმწიფოები);
11. ქართული სახელმწიფოები ელინისტურ ხანაში (კოლხეთი, ქართლი);
12. ძველი რომი (რომის წარმოშობა, მეფეთა ხანა, რომის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პუნიკური ომები, ომები მითრიდატესთან, პირველი ტრიუმვირატი, სამოქალაქო ომები, რომის იმპერია და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომაული კულტურა);
13. რომი და საქართველო (პომპეუსის ლაშქრობა, ურთიერთობა I-II საუკუნეებში);
14. ევროპა IV-V საუკუნეებში (გერმანული ტომები, ხალხთა დიდი გადასახლება, იმპერიის ორად გაყოფა, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა);
15. ქრისტიანობა (წარმოშობა, გავრცელება, მსოფლიო საეკლესიო კრებები);
16. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში;
17. ვახტანგ გორგასალი (საშინაო და საგარეო პოლიტიკა);
18. ბიზანტია და ირანი (სასანიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა, ბიზანტიის იმპერიის შექმნა, ბიზანტია-ირანის დაპირისპირება IV-V საუკუნეებში, მეფობის გაუქმება ქართლში, დიდი ომიანობა, იუსტინიანე I და ხოსრო I, ერისმთავრობის დაწესება ქართლში, ჰერაკლე კეისარი);
19. ფეოდალიზმი ევროპასა და საქართველოში (ფეოდალიზმის ჩასახვა და განვითარება, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, ქალაქები);
20. კარლოს დიდი და მისი იმპერიის დაშლა;
21. პაპიზმი. საღვთო რომის იმპერია;
22. არაბები და მათი დაპყრობები (ისლამის წარმოქმნა და გავრცელება. სახალიფოს ჩამოყალიბება. ომაიანები და აბასიანები. არაბული კულტურა);
23. არაბთა ბატონობა საქართველოში;
24. ქართული სამეფო-სამთავროები IX-X საუკუნეებში;
25. ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობები X-XI საუკუნეებში;
26. სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნა. სელჩუკთა დაპყრობები. სელჩუკები და საქართველო;
27. დავით აღმაშენებელი (საშინაო და საგარეო პოლიტიკა);

28. საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს (საშინაო და საგარეო პოლიტიკა);
29. თამარ მეფე (საშინაო და საგარეო პოლიტიკა);
30. საქართველოს სახელმწიფოს მმართველობა XII-XIII საუკუნეებში;
31. ჯვაროსნული ლაშქრობები (მიზეზები, I-VIII ლაშქრობები, შედეგები, რაინდთა ორდენები);
32. ჯვაროსნები და საქართველო;
33. მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნა, მონღოლთა დაპყრობები;
34. საქართველო XIII-XV საუკუნეებში (ჯალალ ედ-დინის ლაშქრობები, მონღოლთა ბატონობა საქართველოში, გიორგი ბრწყინვალე, თემურ-ლენგის ლაშქრობები, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად);
35. ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ოსმალთა დაპყრობები XIV-XV ს-ში;
36. ბიზანტიის დაცემა. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობები და საქართველო;
37. განათლება და მეცნიერება ევროპაში (X-XV საუკუნეები);
38. პარლამენტარიზმი ევროპაში (თავისუფლების დიდი ქარტია, პარლამენტი ინგლისში, გენერალური შტატები საფრანგეთში, კორტესები ესპანეთში, ლანდთაგები გერმანიაში);
39. ჰუმანიზმი და აღორძინება;
40. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (მიზეზები, ექსპედიციები, შედეგები);
41. კოლუმბამდელი ამერიკა (მეურნეობის დარგები, ოლმეკები, მაია, აცტეკები, ინკები);
42. რეფორმაცია და კონტრეფორმაცია (ლუთერი, კალვინიზმი, რეფორმაცია ინგლისში, იეზუიტთა ორდენი და კათოლიციზმის განახლება, რელიგიური ომები საფრანგეთში);
43. ოსმალეთი და ირანი XVI-XVII სს-ში (ოსმალეთის გაძლიერება, სულეიმან I, ლეპანტოს ბრძოლა, ოსმალეთი XVII ს-ის 80-90-იან წლებში; სეფიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება, შაჰ-თამაზი, შაჰი აბას I; ირან-ოსმალეთის ომები);
44. საქართველო XVI-XVII სს-ში (ბრძოლა ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის წინააღმდეგ);

45. რუსეთი XVI-XVIII საუკუნეებში (ოქროს ურდოს წინააღმდეგ ბრძოლა, ივანე III, ივანე IV, პეტრე I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა);
46. რეჩ პოსპოლიტა;
47. ვახტანგ VI (საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა);
48. საქართველო XVIII საუკუნის II ნახევარში (თეიმურაზ II, ერეკლე II, სოლომონ I);
49. ჰოლანდიის რევოლუცია;
50. ინგლისი XVI-XVII საუკუნეებში (ინგლისის დაწინაურების პირობები, მეფისა და პარლამენტის დაპირისპირება, სამოქალაქო ომი, კრომველის მმართველობა);
51. აბსოლუტიზმი საფრანგეთში (ლუი XIII, ლუი XIV, მერკანტილიზმი, ფიზიოკრატები);
52. შვიდწლიანი ომი ევროპაში;
53. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია და აშშ-ს შექმნა (კონტინენტური კონგრესები, დამოუკიდებლობისათვის ომი, აშშ-ს შექმნა);
54. განმანათლებლობა. განმანათლებლობის იდეების გავლენა საქართველოზე;
55. საფრანგეთის რევოლუცია და ნაპოლეონის ეპოქა (პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ვითარება რევოლუციის წინ, გენერალური შტატების მოწვევა, ბასტილიის აღება, საფრანგეთი ეროვნული კრების მოღვაწეობის პერიოდში, კონვენტი, 1791 წლის კონსტიტუცია, იაკობინელთა მმართველობა, თერმიდორული გადატრიალება, დირექტორია, 18 ბრიუმერის გადატრიალება, კონსულობა, I იმპერია (აუსტრლიცისა და ტრაფალგარის ბრძოლები, კონტინენტური ბლოკადა, ლაშქრობა რუსეთში, ლაიპციგისა და ვატერლოოს ბრძოლები), ვენის კონგრესი);
56. იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი (რუსეთის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების დაპყრობა, აჯანყებები საქართველოში ცარიზმის წინააღმდეგ, საქართველო მეფისნაცვლობის პერიოდში, ალექსანდრე II-ის რეფორმები);
57. „აღმოსავლეთის საკითხი“ XIX საუკუნეში (რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის ომები და საქართველო);
58. რევოლუციები, სამოქალაქო ომები და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში (რევოლუციები ევროპაში, ილია და თერგდალეულების მოღვაწეობა, გერმანიის გაერთიანება, საფრანგეთ-პრუსიის ომი,

- მესამე რესპუბლიკა საფრანგეთში, იტალიის გაერთიანება, სამოქალაქო ომი აშშ-ში, პოლიტიკური პარტიები საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში);
59. პირველი მსოფლიო ომი და პარიზის სამშვიდობა კონფერენცია. (სამხედრო ბლოკების შექმნა და ომის გამომწვევი მიზეზები, ომი მიმდინარეობა და ომის შედეგები, პარიზის კონფერენცია და მისი მნიშვნელობა, ერთა ლიგა, რევოლუციები რუსეთში და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება);
60. საქართველო და მსოფლიო I და II მსოფლიო ომებს შორის (საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაცია, საბჭოთა კავშირის შექმნა და საქართველო მის შემადგენლობაში, იტალია და გერმანია 20-30-იან წლებში, სამოქალაქო ომი ესპანეთში, „დიდი დეპრესია“, „დამოშმინების პოლიტიკა“);
61. მეორე მსოფლიო ომი (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე, სსრკ-ს მიერ ბალტიის რესპუბლიკებისა და დასავლეთ უკრაინის ოკუპაცია, სსრკ-ფინეთის ომი, „უცნაური ომი“, გერმანიის თავდასხმა სსრკ-ზე და სამხედრო ოპერაციები გერმანია-სსრკ-ს ფრონტზე, ლენდლიზი, ქართველები მეორე მსოფლიო ომში, იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე, სამხედრო ოპერაციები ჩრდილოეთ აფრიკაში, ოპერაცია „ოვერლორდი“, თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციები, გერმანიისა და იაპონიის კაპიტულაცია);
62. საქართველო და მსოფლიო „ცივი ომის“ ეპოქაში („ცივი ომი“ და მისი მიზეზები, კორეისა და ვიეტნამის ომები, „კარიბის კრიზისი“, შეიარაღებული კონფლიქტები ეგვიპტესა და ისრაელს შორის, NATO-სა და „ვარშავის ხელშეკრულების“ ბლოკის შექმნა, ანტისაბჭოთა გამოსვლები 1956 წელს უნგრეთსა და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, გამათავისუფლებელი მოძრაობა ინდოეთში, ბრძოლა „აპარტეიდის“ წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკაში, ჰელსინკის შეთანხმება, 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები საქართველოში);
63. სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის დაშლა; საქართველო XX საუკუნის მიწურულს („პერესტროიკა“, სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის დაშლა; 1990 წლის არჩევნები საქართველოში, დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 90-იან წლებში);

64. საზოგადოება და კულტურა თანამედროვეობაში (სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და კულტურის ტენდენციები, ომის შემდგომი დასავლური სამყაროს საზოგადოებრივი მოძრაობები).